



პლაკატი მამია მაღაზონიანი.

ახლა ისეთი
 ატმოსფეროა,
 დავესიზმრებია
 ოდესმე არც კი!
 როგორც არასდროს,
 ჩვენ შეგვიძლია,
 რომ თავისუფლად
 გამოვითქვათ აზრი!

ილაპარაკე
 რამდენიც გინდა,
 რაც გსურდეს გულით,
 ილაპარაკე! -
 ცული აძაგე,
 ხოლო საქები,
 რამდენიც გინდა,
 იმდენი აქე!

მოელო ბოლო
 ზურგს უკან ქირჩილს,
 სხვა გზით მიუღივართ
 ყველანი უკვე,
 თვალს აღარ ვუხვევთ
 ერთმანეთს ახლა,
 ახლა ერთმანეთს
 ჭრილობებს ვუხვევთ!

შეჩვევა უნდა
 ამასაც აღბათ,
 ზოგს შეჩვეული
 ჭირიცი კი უყვარს,
 მაგრამ მზესავით
 არის ნათელი,
 რომ არ არსებობს
 დახვევა უკან!


ნოემბერი ბარათია

ნიანგონი

24

დეკემბერი

1987



ინტერვიუ ახელ წესთან

ჟამთა საცერს განა წელი, საუკუნეც გაუცრია, სად მოასწრო! მზის „ნიანგიც“ კი გაუცვნია! ყოველ კუთხე-კუნჭულს ზვერაეს, ოჯახებში გზავნის მაცნეს, კოჭებზე და რიტმზე ვაბტყობ, ძველებურად არ მოგვაცდენს! მოსალოცად, დასალოცად ტუჩი უკვე განსლენია, მოპატივე ბევრი ჰყავდა, მოსვლა მაინც აქ ერჩია! ფესკეთილო! ზნეკეთილო! რაკი ავსებ ახალ დღიურს, ჩამოგართმევ მოწიწებით ერთად ხელს და ინტერვიუს!

– ალბათ, როგორც ყველა მოკვდავს, გასაზრდოებს ათი მცნება, ჯერ მიზეზზე – შენი მოსვლით, რა გგონია, რა იცვლება? – ზურგის ქარი გინდათ ახლა (ტვინი ზურგსაც კი ჰქონია!) დაჩქარება! – ათი მცნების სათამადლო სტრიქონია!

დმერთმა მოგცეთ, არ გაკლიათ, ჩიტის რძე და ანანასი, დროს პენტეტა და ანიავებთ, ვერ ისწავლეთ მისი ფასი! არ ებტყუნოთ! არ გაცუდდეთ! სიტყვამ საქმე არ გათელოს! სადღეგრძელოს მერეც უნდა შეუწიოთ საქართველოს!

– ამ ვარსკვლავეთს რაღას ერჩის ეს ატომი სატიალე? – ყველა წამი ჩემი ისრის კვლავ მშვიდობას დასტრიალებს. შეიძლება საწუსარი კაცმა არ თქვას, არ იბორგოს? ზოგი, ვითომ დემოკრატი, შორით ვაბტყობ, დემაგოგობს. როგორ უნდა გაიმეტო დედამინა საპერშინგო?! – ჩერნობილი ცხვირწინ გქონდეს და ეს მაინც არ შეივინო?! – ეს ახალი მექანიზმი წელში როდის გაიშლება? – სათქმელს ბარემ ახლავ გეტყვი, ვიდრე პირი გამიშრება: სულ თავისით, თვითდინებით გაკეთდებით, რად გგონიათ? თქვენ არც იცით, რა მოჰყვება ფინანსების აგონიას! ზარალიანს დახურავენ! – მონახავენ უფრო სანდოს, გელიძებათ? გეუჭეებათ? არ კითხულობთ განა კანონს?

ბევრგან, ვხედავ, არ აწუხებთ არც სირცხვილი, არც ღირსება, უხარისხო, ფუჭი ტემპით განა ჯიბე აივსება?

– „დინამოზე“ რაღას გვეტყვი, კვლავ აღიდგენს ვითომ „წონას“? – ბურთი თქვენი არსობისა საქართველოს კვლავ შეკონავს! გულით ძებნეთ, გამოჩნდება! – მოპურთალი რამ დალია? ასპარეზის შერჩევა კი, იცით ალბათ, მაგალია!

თქვენ ივარგეთ, არ გაქვთ განა მაგალითი პაატასი? – ბათუმშიაც სურთ, რომ გახსნან ფილიალი „ლა-სკალასი“!

– წლეულს ვითომ მოშუშდება სატკივარი ჩვენი სკოლის? რით ვუწამლოთ, თუკი სწავლა უნდათ ისე, სხვათა შორის? უმაღლესის რია-რიაც უკურნალი რამ წყლულია!..

– მოველება! მოშუშდება, ყრმას თუ შვიცემთ, რაც სწყურია!

– გარდაქმნაზე რაღას იტყვი, ჩვენს ორულს მოვერევით?

– მსოლოდ პოზის, მსოლოდ ლიქნის, მსოლოდ სკამის მონელებით!

– თუ მიგიხვდით, ილიასებრ გაიმეტებთ ქებას ძვირად!..

– როგორ ვაქო? მიბნედილა, მძვარდნილა ბევრი ძილად!..

როგორც წესი, აგვიანებთ, გადაივსო ღვინო ლექვით!..

ორატორობთ, ნოვატორობთ, მთავარი კი მაინც ვერ თქვით!..

ოჯახს ბევრგან, აბა, ნახეთ, დედაბოძი შერყევია!..

მიტომ მძლავრობს, გეძალდებათ, რაც კი ერის შემრყვენლია!..

უარესი, ასე ვფიქრობ, არც გექნებათ გაჭირება!..

მისაღები გამოცდები კაცობას კი არ სჭირდება?!..

მოეკიდეთ ნდობის გუთანს!.. რუდუნებით, თქვადღებით, გაამრავლეთ სიყვარული, შეუღლით. როგორ გამრავლდებით?

– ვხად კი დგახარ, მაგრამ იქნებ ერთი ჭიკა დაგვილიო!..

– რაღა გითხრათ, არ მოშლოდეს ქართველს წელი საილიო!

ზაზა კასიაშვილი



ნახ. მ. აბაშიძისა



ეს დღეს გავიდა!

ნახ. ბ. ეფიომვიცა

(„კოკოდოლი“, № 24, 87 წ.)

ახალი ფლიდან...

- თუ არ ექნება გავლილი ატესტაცია, თოვლის პაპას კარი არ გაუღო!
- გარდატანსთან დაკავშირებით თოვლის პაპის ტრადიციული ხურჩინი შეიცვალოს უფრო თანამედროვე ცელფონის ტომრით.
- ნატლებ საპასუხისმგებლო ადგილებში ექსპერიმენტის სახით გაშვებულ იქნეს თოვლის ბეზია.
- ჯოგინარტის ჭიბრზე დაარსდეს ქართული იუმორისტული გაზეთი.
- შეიქმნას ანონიმური წერილებით გულშოკლულთა კლუბი.
- შარანგხელობის მსურველთა აქრძალოთ ძველი თბილისის ტერიტორიიდან გამოვლად.
- თუ ცუდ და აქვთ დაცდილი, „დინამოს“ ფეხბურთელებს არ ჩამოერთვათ სახალწლო ინტერვიუ.
- ნება და ერთობ ქართველ ქალს, იყოლიოს ერთზე მეტი შვილი.
- ადამიანთა წითელ წინში ქართველი ჭერ არ იქნეს შეტანილი.
- შეიგულდოს შოკოლადის კანფეტ „დათუნას“ მოყვარულთა რიცხვი.
- აიკრძალოს ვაკე-საბურთალოს სასაფლაოს მსურველთა გარდაცვალება.
- ტალეფონისაგან ნერვება წეწილ აბონენტებს გამოეყოთ ხანატორიუმის საგზურები.
- გამოუსწორებელი ლოთებისთვის გაიხსნას უაღკოპილო არაყის კაფე.

3030 ზედალასვილი

მილოცვა

ამჟამად მრავალნაირი წელია ცნობილი: ახალი, ძველი, შარშანდელი, განვლილი, მომავალი, ნაკიანი, უნაკო, სასწავლო, საფინანსო, დაბადების, გარდატეხის, დამამთავრებელი, საიუბილეო, ბედნიერი, ბარაქიანი, გვალვიანი, დათარსული... აგრეთვე — მაგარი, მოქნილი, წერწეტი, მაღალი, დაბალი, გამართული, ჩაწყვეტილი და... მეტისმეტად რომ არ გავწელოთ, კიდევ ბევრი სხვა წელი და წელიწადი.

ამთგან ახალი წელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს დგება, მაგრამ მთელს დედამიწაზე და თვით კოსმოსშიც ადამიანები ერთნაირი იმედით ეგებებიან მას.

მართალია, ყველას საკუთარი სახალწლო მურაზი აქვს, მაგრამ, დაე, ახალი წლის მილოცვა კეთილი ნების ადამიანებისათვის მარად გულწრფელი და უცვლელი დარჩეს: უსურვონ ერთმანეთს, წელგამართულები დასწრებოდნენ მრავალ ახალ, ბედნიერ, მშვიდობიანი შრომის წელს!

306 როგორ ხვდება ახალ წელს

ჩვენს გეოგრაფიულ განედზე ზამთრისათვის ვინც როგორი თადარიგი დაიჭირა, ახალ წელსაც იმის შესაბამისად ხვდება. ციყუშა, სადაც კი მოიხელთა თხილი და კაკალი, სულ თავის სოროში შეზიდა და აავსო ოჯახი. ზის ახლა შინ, ჯალაბობაში და თვალბდაცეცებული ქურდულად ანატუნებს ნაპარაკ თხილს. დათვმა შემოდგომის საერთო ბარაქით დაუშოვავად ისარგებლა, ბლომად დააგროვა ქონი ზამთრისთვის. ახლა ხევემით ხერინავს თავისი ბუნავის სიღრმეში და თთებს ბუჯითად ილოკავს.

ფუტკრებსა მთელი ზაფხული იშრომეს გათენებინდნ დაღამებამდე, საერთო ფიჭები სულ დაავსეს გემრიელი თაფლით და ახლა საკუთარი შრომის ნაყოფს უშიშრად და სიამოვნებით მიირთმევენ.

არ ეკადრებათ (და, ბოლოს და ბოლოს, წამწარდებით) ჯოგ-ჯოგებს, რომლებიც ციყუშებს თუ დათვებს ბაძავენ, უშრომლად დაგროვილი ქონითა და ქონებით რომ მოაქვთ და გააქვთ თავი. მხოლოდ იმისი ლუკმა ალალი და სახალწლო გოზინაყუშ ტბილი, ვინც ფუტკრებით სარჩო საკუთარი შრომით მოიპოვა.

საწუქრები

ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილ გამოუსწორებელ ანტიპოდებს სახალწლო საჩუქრად ეკუთვნის ქვემოთ ჩამოთვლილი მხატვრული ნაწარმოებების სათაურები პირდაპირი მნიშვნელობით:

- ორგულ მამაკაცებს — „აბოს წამება“;
- ორგულ ქალებს — „მუშანიკის წამება“;
- უკუღმართ შვილებს — „მამის მკვლელი“;
- მუქთახორებს — „კაცია-ადამიანი?“,
- ზარმაცებს — „გლახის ნაშობობი“;
- მომურნეებს — „ანრდილი“;
- ანონიმებს — „განდვილი“;
- ლოთ მძლოლებს — „ოთარანთ ქვრივი“;
- ნარკოტიკების გამყიდველებს — „სარჩობელაზედ“;
- ქორვაჭრებს — „კაკო ყაჩაღი“;
- ყალბისმქნელებს — „ქვათა ლაღი“;
- ავადმშენებლებს — „სურამის ცისე“;
- ბიუროკრატებს — „რაფ გინახავს, ვეღარ ნახავ“;
- ქერქეტებს — „პარტახი“;
- მრუშებს — „უცნაური სენი“;
- ბედოვლათებს — „ჯაყოს ხიზნები“...

არც სხვა ანტიპოდები დარჩებიან განზე. მათთვისაც გათვალისწინებულია როგორც ქართული, ასევე რუსული და უცხოური ლიტერატურული ნაწარმოებების შესაბამისი სათაურები, როგორცაა, მაგალითად, სუმბათაშვილი-იუენის „დალატი“, ფონეზინის „უმწიფარა“, გრიბოედოვის „ვაი ჰკუსიკან“, გოგოლის „მკადარი სულედი“ და „რევიზორი“, ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“, ოსტროვსკის „ცოფიანი ფულეზი“, ჩეხოვის „ქამელეონი“ და „კაცი ფუტლარში“, გორდონის „ფსკურზე“, დანტეს „ჯოჯოხეთი“, შექსპირის „ჭირვეულის მორკის“ „ფსკურზე“, დანტეს „ჯოჯოხეთი“, შექსპირის „ჭირვეულის მორკის“ „ფსკურზე“, დანტეს „ჯოჯოხეთი“, შექსპირის „ჭირვეულის მორკის“ „ფსკურზე“ და მრავალი სხვა.

შემოჩამოთვლილი საწუქრები გაიცემა დამსახურების მისჯვით, მაგრამ, მართალი ვითხრათ, არაყის ვუსურვებ მათს დამსახურებასა და მიღებას!

აპოლონ ბასილიანი

ლოთის „მეზამორაზო“

ძველი წელი ახალ წელს გადასცემს ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ესტაფეტას

ქველი წელი:

თუმც ნეგატიურ ცრუტიპებს ვაგემე მძიმე ლახვარი და ბევრი კიდევ მოვაშთე, — აქა-იქ მზაკერულ ხარხარით, — ბევრიც გადარჩა! მაგრამ მწამს ჩემეულ ლახვრის ჯახანით იმ „შთენილთ“ ჩემი მემკვიდრე მისწვდება წელი ახალი!

უკუღმართული მშენებლობა

ცხრასართულა კორპუსს მთას ადარებენ, აქ სულ სხვაა მშენებლობის „გემო“: სანამ მეცხრე სართულს დაამთავრებენ, პირველს უკვე უკეთებენ რემონტს!..

თაქნება ოფისიანთი

მას არ აქვს ციფრები „საკმარი“, მის ციფრებს რომელი გაუძღვება?! ყველას ისე უწერს ანგარიშს, არაუის ანგარიშს არ უწევს!

ფსავლონელმკაცრანალი

თანამდებობა თავში აუვარდა, პატივმოყვარის სახელი გაუვარდა!.. და ბოლოს ის თავი დაუვარდა, რომელშიც თანამდებობა აუვარდა!



დაცალა ღვინის ურიცხვი ბოთლი და ამჯერადაც „წოდება“ ლოთის „არ შეარცხვინა“: ატეხა შფოთი, შარით, ქადილით, უაზრო ბოღვით გაიზიარა „იღბალი“ ბოთის.



საღმრთო აუზანი

მას, ხელმრუდ გუშავს სხვა პირის, ქურდობა გაუკვირდება? გუშავობს რასმე? — თვით მასვე გუშავს გუშავი სჭირდება!

„პარალსო“ და ოჯახის ბიუჯეტი

ის რესტორნებში დღედაღამ სულ რომ დასძახის „პარალსო“, მისი ოჯახის საღარო მიტომაც მიწყვი ზარალობს.

ვარცხი უფინიშოდ

შუა გზაშივე გაგაოჭეს, ფინიშთან ვეღარ მიხვედი, ვეღარ დაიღვა სპექტაკლი შენი სცენარის მიხედვით!

კარიბიანობი

რომ არ დარჩეს სხვებზე დაბლა, დღე და ღამე ფამიერად უნდა ძებნოს სავარძელი, უნდა ძებნოს კარიერა!..

რისკი უფრო მოიმატა, სული გაიკანდიერა, ვერ მოითმენს, ვინმე გზაზე წინ აღუდგეს ბარიერად!

მომავალი კარიერა უკვე შეათვლიერა, ძალა სულში მოიკრიბა, წამსვე იქცა „ტარიელად“.

ზე ასწია საფეთქელი, მხრები გაიგანაიერა, თავს ვეღარა მოუხერხა, თავი დარჩა ცარიელად!

თვითგანდიდება

საკუთარ თავს, როგორც სხვებზე უკეთესს და უდიდესს, ის ორივე ხელის ყველა ათი თითით უთითებს!



რეზინიონაი

ვერ შეძლო სიანლეების შორ სივრცეებში შეჭრა, იგი ათასჯერ დაღუჭილს ათასმეერთედ ღეჭავს!

მარყვანი

რასაც იტყვის, გადათქვამს, წინა სიტყვებს გადანთქავს, ცოტა ხანში იმ სიტყვებს ისევ უკან გადმოთქვამს, ნაბიჯს, წაღმა გადადგმულს, ისევ უკან გადმოდგამს.

გაღაგნელი „კრაზანა“

არა ფუტკარი, — ზოგ-ზოგი კრიტიკოსია კრაზანა, ლალიან ფუტკრებს დაჰბრუნავს, მათ თაფლს აცხრება საზარად,

თვით თაფლს აროდეს ამზადებს, სხვის თაფლს კი იგდებს მასხარად.

ფორმალური ზოგირატი დაწესებულებაში

ფორმალნიზმი? აქ სახე მას სულაც არ შესცვლია, რადგანაც აქ ფორმალნიზმს ფორმალურად ებრძვიან.



დაწესებულება

მაგიდის ქვეშ იგი სხვის განცხადებას ამოდებს და იმ განცხადებისთვის აღარ იცლის აროდეს.

ალეობიზმი

ჯერ — ფაქტი, მერე — დასკვნა, მაგრამ ეს რითი ავსხნათ: შენ რომ ფაქტს არა სწავლობ, ისე აკეთებ დასკვნას?

მამამებლობა

„მამამებლობა არა ხამს!“ — ერთგან წერს კალმის წვერით, სხვანამ იმ კალმის წვერით წერს მამამებლურ წერილს.

კრაზის ძვარი

წამოუსხამს ქურჭი უცოდველი კრავის, ქურჭი ხელს არ უშლის, რას აკეთებს მკლავი!..

ჯილბოტა

ძველმა წელმა რომ გადმოშეცა, წინ ესტაფეტა დაეძარი, ამ ესტაფეტით მსურს ყველგან შავ ჩრდილებს დავცე თავზარი, ნაკლთან თუ მანქანის ჭიდილში ვერვის ვენახო დამცხრალი, ვიბრძობლებ, რათა გადარჩეს ზნეობის წმინდა ტაძარი!..



უსიბავოდ

ახალი წელი— ქართველ ხალხს

უპირველესად რა ვითხრა,
ანუ რა უნდა გახარო? —
სიბრძნის და პატიოსნების
დროშა აროდეს დახარო!
რაიც ინატრო,
აღსრულდეს!
მიზანი გქონდეს ნათელი,
ქართველი რომ ხარ, გახსოვდეს, —
მარადის რომ იქართველო!
სხვა დროის ზარმა დარეკა,
კვლავ ყალყზე გედგას მერანი!
არც ერთ შენს სოფელს არ ერქვას
ნ ა ს ო ფ ლ ა რ - ნ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ა რ ი !
ქართულ აზრს
ხმლისებრ ფერავდე, —
სხვაფრივ არ გადასხვაფერდე!
გისურვებ,
ჩვილთა პერანგებს
მზეზე დროშებად აფენდე!
იმ მოლოდინის გჯეროდეს, —
ერთგული იყავ ბოლომდე!
ღმერთმა მოყვარე გიმრავლოს,
მტრებიც საწყლები —
გყოლოდეს!
წინ, წინ აზრით და გონებით
და არა თავის კანტურით!
იყავი სულით ჩაუქი,
სხეულით ელეგანტური!
მინდა ყოველი სიკეთე
და სიხარული გახაიო!
უკუნით უკუნისამდე
შვენოდე ხალხთა სამყაროს!

ელდარ კერქვაძე

საახალწლო სიასლანი

ბარდაქმნის წახანაგები

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს თბილისელმა მშრომელებმა საახალწლოდ: მაძღარაშვილის ქუჩის კუთხეში, ვინტოვცისა და კომბაინის ქუჩების გადაკვეთაზე, კოოპერირების წესით გაიხსნა სა-ზოგადოებრივი კვების კიდევ ერთი ობიექტი — „პარადოქსი“. თბილისელებსა და ჩვენი დედაქალაქის სტუმრებს მოემსახურებიან წარსულში ცნობილი სპორტსმენები, ინჟინრები, მხატვრები, ფილოლოგები...

მაღალკვალიფიციური მომსახურების გარანტიას იძლევა „პარადოქსის“ ადმინისტრატორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ტარიელ შუაკაური.

ნოსტალგია

პარიზში დაბადებული ალი-ალმამედ-შაბან-ყურბან-ოღლი სიბერეში ნოსტალგიამ მოიცვა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მშობლიურ აზერბაიჯანში დაბრუნების უფლება მიიღო.

მისმა მრავალსულიანმა ოჯახმა ახალი წელი და ახალი ხუთოთახიანი ბინა ერთდროულად იზეიმა... თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე.

გლეხური „ტუმონკავი“ საახალწლოდ

თუ გსურთ თქვენი საახალწლო სუფრა უფრო მრავალფეროვანი გახდეს, შეიარეთ ქ. თბილისის კოოპერატორის მაღაზიებში. აქ მამასისხლად შემოგთავაზებენ სოფლის მოსახლეობისაგან შესყიდულ „სურვილადებს“, სამონადირეო ძეგლებს, ნუგას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხორცის კონსერვებსაც კი — „გავიადინას“, „სვინინას“ და ა. შ.

ყურადღება! — ექსპერიმენტი

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მესვეურებმა საახალწლოდ ერთ-ერთ მარშრუტზე ექსპერიმენტის წესით გაუშვეს ავტობუსი, რომლის კონტროლიორებადაც დანიშნეს წესრიგის უწყისრიგო დამცველები. ისინი ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ მგზავრების გაბილეთიანების მიზნით (შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მუქარა, ჯარიმა და ა. შ.). ექსპერიმენტმა შესაშური შედეგი გამოიღო: კონტროლიორების მუშაობის პერიოდში უბილეთოდ მგზავრობას ადგილი არ ჰქონია.

ექსპერიმენტი გრძელდება!

შეიკრათ თქვენი გამოვნების მიხედვით!

უხსნაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მესვეურები გაბეზრდნენ აურაცხელი რეკლამაცია-გინების მიღება-მოსმენით.

ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ახალი წლიდან მომხმარებელს მიაწოდოს არა მზა ფეხსაცმელი, არამედ საუკეთესო ნედლეული (საძირე და საპირე), რაც გამორიცხავს კერვის ხარისხის დაბალ დონეს.

ქალაქის გაფორმების გიუროს თანამშრომლებს

ჭვირფ. სო მეგ. ბრებო! .ულითა და სუ. ით .ილოცავთ ხალ წ. ლს, ისურვებთ ...მრთელობას, ...ხან სიცოცხს. ეს და ბედნი... ბას.

იმ. დია, მომა..ლი წ.იდან ჩ.ნი დედაქალ.. ის რეკლამები ნორმ. ლურად ი..შავებენ და აღა. იქება ასე.ი წ. რ. წერები: „ბ. რი“, „ასტრონომი“, „...სადილო“, „...დავაქციოთ თბილისის სა.. მუშო ქა..ლა..დ“ და ა. შ..

.....ცემით ..კოლოზ ..ბიკა

ზედ ახალი წლის წინა დღეს, უკვე დაწყებულიდან შინ წასვლას რომ აპირებდა ხალხი, განყოფილების უფროსმა გერასიმე მინდაძემ მოულოდნელად მოისმო თავისთან ცუცა ობოლაძე და უთხრა:

— აბა, მარად, ცუცა, მიდი ახლავე მმართველთან, გიბარებს და შენ იცი, შენებურად, საქმიანად მოიქეცი!

— მმართველი მიბარებს? რა აბა ვილა ჩემს თავს? — გაფითრდა ქალი.

— საქმე აქვს ალბათ რაღაცა! რა იყო, რა ფეთება დაგეშართა?

— ათი წელია აქ ვმუშაობ, ათი კი არა, ლამის თერთმეტც ვანდეს ცოტა ხანში, არაფერზე ვაქსენებოვარ, მამუშავეთ სახელად რიგით, ახლა ვითომ რა მოვლანდა? ამ სასახლეწოდ რაღაცის დავალება უნდა? არავითარ შემთხვევაში! ახალ წელს მეც მიინდა ხალხისთან შევხვედ, ნახაზებისა და ანგარიშების გარეშე! ვასაგებია? — აღელვებისგან ქადაგად დაცემულივით ქაქანებდა ცუცა.

— კარგი, ცუცა, დამშვიდდი, დაწუნარდი!.. რის ნახაზი და რის ანგარიში? რას ამბობ, აბა, რას? ადამიანს ალბათ ახალი წლის წინაწარ მოლოცვა უნდა, რაღაცა კაის თქმა, გაგება!.. უფროსია, არა აქვს ამის უფლება?!

— რომელი ცნობილი და სახელოვანი თანამშრომელი მე ვარ, ასეთი პატივი დამდოს?! უფრო სხვაა მიზეზი!.. ნამდვილად შემეშალა რაღაცა იმ ახალი, მადლიერი ხალხის პროექტის ანგარიშში და გასაჯორად მიბარებს!.. — ცრემლი მოერიო ცუცას.

— მე კი მეონია, მადლობისთვის გეტანის. ბრწყინვალე პროექტია და არც არავითარი წუნია ანგარიშშიც, ვიცე, კი, სმა მომივიდა ზედა იარსებებიდან... გკითხავს ალბათ რაღაც-რაღაცას, იქნებ ჩემზეც!.. ეს იქნება და ეს!..

— თქვენზე?!

— მე მინდოდა შეთქვა, ჩვენზე, ვეს იგი, ჩვენს განყოფილებაზე, ხელმძღვანელობაზე!.. წადი, ცუცა, წადი და ნუ დაინანებ კაი სიტყვას! წადი!..

ცუცამ შეწუხებული თვალბრტით ახედა გერასიმეს, იცოდა, სხვა გზა არ იყო, და მსრებ-ნამოვარდნილი შევიდა მმართველის კაბინეტში, მაგრამ მმართველი ისე გულბრტოდა და შინაურულად შეხვდა, დარდი უცებ ჩამოსცილდა ქალს და უნებურად გაეღიმა კიდევ, მმართველს შუქიან თვალებს რომ შეხვდა.

სასაქონლო სარეკარი იუმორისა

— დაბრძანდით, ცუცა ანდუყაფაროვს! ძალიან გთხოვთ, შინაურულად, უბრალოდ მოიქეციო!.. სომ არ მემულება თქვენი სახელი და მამის სახელი?

— არა, არა, მაგრამ მე ის მიკვირს, საიდან იცით... ჩემისთანა თანამშრომელი აქ სომ იმდენია... — დაიმორცხვა ცუცამ.

— ჯერ ერთი, თქვენს მოსვლამდე მე საგანგებოდ გავაცანი თქვენს პირად საქმეს!.. მეორეც, ძალიან ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ თქვენისთანა აქ ბევრია!.. ხანთლით საქმეებია თქვენისთანა საეციალისტი, მაგრამ ვაი, რომ სშირად სანამ ვილაც არ შეგასხენებს თქვენისთანას სახელს, ჩვენ, უფროსები... აი, ახლაც, ონისიმოვიჩი რომ არა, თქვენს განყოფილებაში რაც კეთდებოდა, მეგონა, ყველაფრის ავანჩავანი გერასიმე მინდაძე იყო, ის კი... —

— უი, არა, ბატონო!.. გერასიმე კაი კაცია! რაც კეთდება, სულ იმის შეძახილითა! ამასაც ნიჭი უნდა, ნამდვილად!

— ონისიმოვიჩმა მიაბა, თურმე ერთ სკოლაში ვისწავლიათ, ვინ იცის, იქნებ ერთ მერსზეც ისხედით, თქვენ კი დუმდით, მაშინ როდესაც ამ საჯაროობის დროს ყველაფერი უნდა ვიცოდეთ ადამიანებმა ერთმანეთზე: ვინ ვისი ამხანაგია, ვისი რძალია, დედაძილი, მული, შიბაშვილი, მახლი, მამაძილი, ქვისლი, რომ არაფერი შეგვეშალოს!.. თავმდაბლობა, რასაკვირველია, დიდი კეთილშობილების ნიშანია, მაგრამ მაინც არ უნდა დაგეშალოთ, რომ ონისიმოვიჩის თანაკლასელი ხართ!.. კაცია ონისიმოვიჩი, სატრაბახო კაცი, დამიჯერეთ! — ხელი მალდა აღმართა მმართველმა და ცუცას მოსკოური კანფეტები მიართვა, — ისიამოვნეთ, გუმინ გააჩინა საიდანაც გერასიმემ! ეტყობა, ონისიმოვიჩსაც მიუტანა, იმასთანაც ვნახე კაბინეტში, ყურადღებიანი კაცია ჩვენი გერასიმე... —

გერასიმე რა მელაც არის, ეს მე ვერ მასწავლის, ჩემი თავით და მხრებით გამაყვს ის

მუქთასრობა, მაგრამ ეს ონისიმოვიჩი ვილა, რანირად გავიგო? — გაფითრა ცუცამ და ძვირფასი კანფეტით ჩაიტკბარუნე წირო! — ონისიმოვიჩმა მიაბა, როგორ ესმარებო, დით თურმე მას ალგებრისა და გეომეტრიკოგონომეტრიის ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაში... ბარაქლა, ცუცა ანდუყაფაროვს! სკოლის ნომერიც კი მითხრა, სადაც ერთად გისწავლიათ, ყველაფერი ასსოვს, ყველაფერი, თქვენ კი ამ საჯაროობის დროს დაგიგუებთიათ პირში წვალი და დუმართო!..

— ვილაგამი ვეშლები იმ თქვენს ონისიმოვიჩს! — კანფეტები ხელით ვასწია ცუცამ და წაშოდა, — რის ნომერი, ბატონო?! სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, ერთი იყო და რა ნომერი ექნებოდა?!

— დედას გაფიცებთ, აბა, არ გისწავლიათ ონისიმოვიჩთან?! იმან ისიც კი მითხრა, გერასიმე მინდაძეს პატარა დაწინაურება უნდა და რეკომენდაციას ცუცა გაუწევს!

— კი, ბატონო, მოვიწერთ სადაც გინდათ ხელს, მაგრამ ახლა მივხვდი უცებ, ვიხვც ლაპარაკობთ და იმ დალოცვილს, რა ჩემი შუამავლობა სჭირდება, გერასიმეს ქვისლია და დასვას, საცა უნდა, გაუჭირდება თუ? — წამოვითო ცუცა.

— შეხედე შენ! ქვისლები არიან გერასიმე და ონისიმოვიჩი?!

— ასეა, კი, მაგრამ გასაიდუმლოებული აქვთ ეს ამბავი, რომ ხალხის სალაპარაკო არ იყოს!..


— აბა, თუ ასეა, მე არაფერი არ ვიცი, თქვენ ჩემთვის არაფერი ვითქვამთ, პირადი საქმის მონაცემების თანახმად კი ახალი წლიდან ჩემს მოადგილედ გინიშნავთ, ობოლადის ქალი! იყოს ეს სასახლეო საჩუქარი, არ გეკუთვნით ვანა?

— გადირევა გერასიმე! არ გინდათ! რა ვუთხრა, თავი რით ვიპართლო?

— უთხარით, რომ ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა-თქო! — სიცლიად დაიღვარა მმართველი, — წაიშუშაოს განყოფილებაში თქვენსავით და საჯაროდ დავბირდები, პენსიაში რომ გავალ, ჩემს სკამს დაუუთმობ! გვონებ ონისიმოვიჩი დაუდასტურებს, რომ კარგი სიტყვაა! ოღონდაც პირობა ერთია: ვარდაქნა!


ნანა კანდელაკი

ნან. ჯ. ლოლუასი



— რა ამბავია ამდენი კონტროლიორი?!

— მოძრაობის წესრიგის დაცვის ერთგვიანად გამოცხადებული და ხაზზე არიან გამოსულები!



ნახ. ჯ. ლოლუასი

— რა დაემართა ამ ვირს?
 — სანამ ტელეფონს დაუდგამდნენ, ხეზე ავიდა,
 ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა!

საბარდაქმნო საახალწლო

საბარდაქმნო საახალწლო
 გიგლიორიძე

ახალი წლიდან გარდაქმნას მეც ვიწყებ მთელი არსებით.
 ღვინოს შევეშვი, რომ ვსვამდი ყანწებითა და თასებით!..
 ადრე „მარლბოროს“ საყიდლად სპეკულანტებთან მივრბოდი.
 დღეს ბრძოლა, თანაც — სასტიკი გამოვუცხადე ნიკოტინს!
 თუ სამსახურში ვიყავი უღისციპლინო, თავნება,
 დღეს თითქმის გადავეჩვიე გაცდენა-დაგვიანებას!..
 „გამოვსწორდები!“ — ჩემს უფროსს ვუთხარი ფიცის დადებით.
 სამუშაოზე დილ-დილით ყველაზე ადრე ვცხადდები!..
 თანამშრომლებსაც ჩემდამი აქვთ დიდი რიდი, თაყვანი!..
 მეც, რა თქმა უნდა, მათთან ვარ ვით უწყინარი ბატკანი!..
 დისციპლინაზე, წესრიგზე სხვებსაც ვუკითხავ ლექციებს!
 ჩემს სამუშაო ოთახში ძილსაც კი გადავეჩვიე!..
 და კაბინეტი რომ ვზივარ, საქმეს ვაკეთებ სამ იმდენს,
 ჩემთან შემოსულ უცხო ქალს არ ვუცქერ, თვალეხს ვარიდებ!..
 ჩემს თავზე აღარ მჭირდება მეტი რეკლამა, აფიშა!..
 მაგრამ ეს ჩემი გარდაქმნა ჭერ ბევრს არაფერს არ ნიშნავს!
 ხალხს, ყველასთვის საჯაროდ ახლა ვაპირებ ამის თქმას:
 მართო მე და შენ კი არა, სუყველა უნდა გარდაქმნას!..
 სუყველა თუ არ გარდაქმნა სიტყვით, საქმით და ფიქრებით,
 მეც ავდგები და, რაც ვიყავ, კვლავ იმად გარდმოვიქმნები!..
 ვანო ცინცაძე

საჯარო განცხადება

ერთი ცოლის,
 ოთხი შვილის,
 სამი შვილიშვილის პატრონს —
დაძვესმარკო:
 სამშობლოში ერთ პატარა ოთახს ვნატრობ, —
 სამუშაო მაგიდას და
 სიჩუმეს და სიმარტოვეს, —
 მოკლედ, ჩემი კუთხე არ მაქვს
 60 წლის ქართველ პოეტს!..
 ხან მოსკოვში — შვილებთან ვარ,
 ხან გაგრაში — მწერლის სახლში,
 ხანაც
 გაერთიანებულ სანიტარულ ვზივარ „კვანძში“,
 იქა ვწერ და იქა ვთარგმნი,
 იქ ვუმღერი ჩემს ქვეყანას,
 მერე — ნერვებაწეწილი —
 ბალზაკივით ვხუხავ ყავას...
 არც „ზევით“ მყავს ნათესავი,
 არც „ქვევით“ მყავს მხარდამჭერი!..
დაძვესმარკო, თუ ღმერთი გწამთ,
 ვფიცავ, ვალში არ დავრჩები!..
მინაწერი:
 თუმცა, ჩემზე ბუნდური ქვეყნად მაინც არვინ არი:
 ბიჭუნა მყავს პაწაწინა, ჩემი დიდი მეგობარი,
 მისთვის ვცხოვრობ,
 მისთვის ვიღვწი,
 მისით მიცემს მკერდში გული,
 მას ვჭირდებო!..
 და, მაშ, ქვეყნად
 არ ვყოფილვარ დაკარგული!..
 მიხეილ აკლივიძე

ნახ. ბ. პეტრიაშვილისა



— „ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა, მალე გიც-
 ვლება წითელი ფერი“.

852
31.XII 87



— ასე ადრე რამ მოგიყვანა, დღეს ხომ 29 დეკემბერია?
— რა მოხდა, მეც მეხება დაჩქარება!

ფიჭრი მცენიარ მუშაკისა ახალი წლის მოსალმობის შამს

სამი დღეა, დამობრიყვა სევდამ; სამი დღეა, ვიღრძობ, ვიხვრეტ ტვინს! — ხად ვიშოვო, ხად ვიშოვო ნეტავ, გოქს, ინდაურს რაც სჭირდება, ის?!

სიტყვა, უთქმელი სამცენიარო-კვლავითი ინსტიტუტის წამყვანი ინჟინრის მიერ, 81 დეკემბერს ბასტრონოში

სიტყვა რატომღა ნეტავ ამდენი?! საქმე რატომღა ესოდენ ნელა?! მაშინდელივით?! გაუშინდელივით?! ბნელა?!

ფიჭრი მიხვადრილი კაცისა საბავშვო სუფრასთან, ნატოზი საქმოსნის ოჯახში

რისთვის? რატომ? თვარა, კი! — გაგიღია ზვარაკი! — რად უნდა ლაპარაკი, ეს „ვოლგა“, ავარაკი, ის ჩინური ლარნაკი, დამარხული მარაკი... ბაბუამ დაგიტოვა? კუჭგამხმარმა დიტომა? დავიჭერე, აბა, კი!

ფიჭრი კაცისა, საბავშვო იმპორტული ფახსაცემელი რომ მოუნდა

გარეთ გამოველ, იმპორტულ ფახსაცემელ ვეძებ ტიალებს!..

ვიარე, ხად არ ვიარე, მთა-ბარი შემოვიარე!.. იარე, მიდი, იარე, რამდენიც გინდა, იარე!..

ფიჭრი წუწურაბა კაცისა საბავშვო სუფრასთან მაღაზრილი სტუმრების ზვარების შამს

ამდენი სათალ-ნიჟილალა იმიტომ მიღის, კაი ხანია, ყანწი არ ჩანს ნამდვილად დიდი, ამას, იმას რომ შეხანსლონ, რაც არის ირგვლივ, მყის მოეკლება, გამოჩნდება როგორც კი იგი!..

ფიჭრი და ნატოზა პატიოსანი მოძალაბისა ახალი წლის დადგომისას

ქუხდა სტრიქონი, ხმა ქარიშხალს იწვევდა ხმაღში, როცა მავანი ტრიბუნთან გვემოდღვრავდა მაშინ!.. სურდა — აქცევდა ყორანს მტრედად, მტრედს ყორნად, ურცხვად, და ყურმოკრილთა ტაშისცემას ბოლო არ უჩნდა!.. მაშინდელივით არ გაგვიწყრეს ჩვენ ისევ ღმერთი, და არაფერი არ მინდა მეტი!..


გვიჩინა

გამილეთ კარი!

დეკემბრის ღამით წყნარად და ნელა საათმა თორმეტს ჩამოკრა როცა, მომიკაკუნა ახალმა წელმა და თქვენკენ მავალ მეკვლედ დამლოცა! ორი ხურჯინი დამკიდა მხარზე, ერთი — მძიმე და ერთიც — მსუბუქი!.. გამომიწოდა სურვილთა არზა, ზოგი საშარო, ზოგიც გულუხვი, მითხრა: „ვინც არის კაცუნა — მელა, ვინც ლუკმას ჭამდეს არამს და მუქთას, მსუბუქ ხურჯინში ჩასვი და ყველა წარსულს მიართვი ჩემგან საჩუქრად!.. ნაღდ კაცს, ნაღდ მუშას და ნაღდ ხელმძღვანელს, ვინც სიკეთისთვის მკლავი დასაქმა, ვინც შრომა შექად წინ წაიმძღვარა, ხელი შეუწყო წინსვლას, გარდაქმნას, ვინც არ ყლაპავდა ენას მუნჯივით, ებრძოდა ლოთებს და თვითმარქვიებს, ჩემი სიკეთით სავსე ხურჯინით მაღლი სუყველას გადააფრქვიე!“ გამომაყოლა მშვიდობის მტრედი და მე უპირო კაცი როდი ვარ, გამილეთ კარი! — ლხენით, სიმღერით თქვენთან პირნათელ მეკვლედ მოვდივარ!


თათია ფირანიშვილი

რუსთაის ლითონკონსტრუქციების ქარხნის აწლის შემანქანე.



ნახ. მ. აბაშიძისა

— ჩვენ უიარაღო მსოფლიოსთვის ვიბრძვით, შენ კიდევ თოფი გიჭირავს ხელში?!



ყველაფერი იქნება



გაბაიონი

საახალწლოდ ცოლმა ახალი ვარცხნილობა გაიკეთა, ქმარმა უსაყვედურა:

— შე არ მინდა, თმას ასე მოკლედ რომ იჭრი!
— ერთი ამას დამიხედეთ! — მიუგო ცოლმა, — შენ მითანხმებოდი, როცა მელოტდებოდი?!



უსაზღვრო გედინებვა

სმითმა ახალი წლის წინ ლატარიაში ასი ათასი დოლარი მოიგო.

— შენი სიდედრი როგორ შეხ-

მომეტყველი თვალები გამიკეთოთ?

— როგორ არა, — მიუგო სპეციალისტმა, — მერე მოლარისაკენ შეტრიალდა და უთხრა: — ქალბატონს ანგარიში წარმოუდგინეთ!



გაზრთხილება

— საახალწლოდ ჩემი სიდედრი ჩამოდის! — უთხრა ლორდმა თავის მზარეულს, — აი მისი საყვარელი კერძების სია!

— დიახ, თქვენო ბრწყინვალე-ბავ!

— და ერთი მათგანიც თუ მოვიმზადებიათ, დაუყოვნებლივ მოგზნით!

ვდა ამ ამბავს? — ჰკითხა მეგობარმა.

— ო, განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა!..

— ღმერთო ჩემო! ერთბაშად რამდენი ბედნიერებაა!



ნაბნაბუნა

მამა: რატომ არ მიესალმე შენს მასწავლებელს?!

შვილი: ახლა ხომ არ დადებებია?!

ღირებულების კაზინოში

— თქვენთან უკვე ექვსი წელიწადია ვმუშაობ და არასოდეს ხელფასის მომატება არ მითხოვია. იქნებ ამ ახალი წლიდან... — სწორედ იმითომ იმუშავებთ ამდენი ხანი, რომ ხელფასის მომატება არ გითხოვიათ!

უკაცოფილება

საახალწლოდ ქმარმა შინ თუთიყუში მოიყვანა და ცოლს უთხრა.

— აუქციონზე ამაში ორასი ფრანკი გადავიხადე. ათას კაცს უნდოდა ეყიდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც კი ვიცი, ლაპარაკობს თუ არა.

— როგორ, თუ?! — წამოიძახა



უკაცოფილოდ თუთიყუშმა, — მამ აუქციონზე ფასს ვინ უწევდა?!

თავის დაზღვევა

— ოტო, შენი აზრით, ახალი წლიდან როგორი მოლა იქნება? — ჰკითხა ცოლმა.

— ზედმიწევნით ზუსტად შემიძლია გითხრა — ორგვარი ნიშნის კაბას ჩაიცვამენ: ერთს ისეთს, შენ რომ არ მოგეწონება, ხოლო მეორის საყიდლად მე ფული არ მეყოფა! — მიუგო ქმარმა.

თვითკრიტიკა

საახალწლოდ ქალაქში ჩასულმა პანს მიუღერმა რესტორანში ტელეფონების წიგნი მოითხოვა, უნდოდა ერთი ძველი ნაცნობის მისამართი დაეზუსტებინა.

— სამწუხაროდ, არ გვაქვს, — მოუბოდიშა ადმინისტრატორმა, — მაგრამ შემძლია მოგიტანოთ საჩვირის წიგნი. იქ თითქმის მთელი ქალაქის მისამართებია ჩაწერილი.

წიგნების მალაზიანი

— ნაახალწლევს იტალიაში ვაპირებ წასვლას ორი კვირით და მეგზური ხომ არ გექნებათ?

— ინებეთ! აი ეს უკანასკნელი გამოცემაა, რომელსაც ეწოდება „ათი დღე იტალიაში“!

— ჩინებულა, მაგრამ დანარჩენ ოთხ დღეს რა უნდა ვქნა?!

დილოზი

— დარწმუნებული ვარ, რომ ორი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს.

— აგრე არ იტყოდი, ის საჩუქრები რომ გენახა, რომლებიც საახალწლოდ მომართვეს!

უნდოვლობა

სტუდენტმა ახალი წლიდან სხვა ოთახი იქირავა და შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, სახლის პატრონს უთხრა:

— ძველი ბინიდან რომ წამოვედი, სახლის პატრონი ატირდა!..

— ჩემთან ეგ გამორიცხულია! მე ქირას წინასწარ გადაგახდევინებთ!

წუგაში

საბო ახალ წელს მეორედ დაქორწინდა. ქორწილის მერე თავის ახალგაზრდა ცოლს უთხრა:

— საყვარელო, ახლა ჩემი ერთი დიდი ნაკლი მინდა გავიმხილო!..

— განა რა ნაკლია?
— სამწუხაროდ, სშირად უმიზეზოდ ვეჭვიანობ!

მშვენიერმა ცოლმა მომხილავი ღმილით მიუგო:

— ნუ დელავ, ძვირფასო! ჩემს გამო უმიზეზოდ ეჭვიანობა არ მოგიწევს!



სიკვირა

ერთმა ამერიკელმა მანდილოსანმა გადაწყვიტა საახალწლოდ სახის პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინა და კოსმეტიკის კაბინეტში შევიდა. ექიმმა ძველბერძნული პროფილი გაუკეთა, ნაოჭები გაუსწორა, ორმაგი ნიკაბი გაუერთიანა და პირი გაუნახევრა.

— კიდევ რა გნებაუთ, მისის?
— არ შეგიძლიათ, დიდი და გა-

საახალწლო სიურპრიზი

საახალწლოდ ფრანკ მიუღერი ახალ ბინაში რომ გადავიდა, მეორე დღეს სამსახურში კოლეგებმა ჰკითხეს:

— რამდენი დაუმთავრებელი რამ აღმოაჩინე ახალ ბინაში?

— ჯერჯერობით ერთი.

— იღბალი გქონია! მაინც რა?

— შესასვლელი კარი ვერასგზოთ ვერ გავაღე!


7-87

87-852

1988

საახალწლო კონსერტი

საღამო



ნახ. ბ. ლომიძისა



სატირული ბიულეტენი

საბჭოთა და იუზოკის
ქართული „ნიანგი“ № 24
(1754). ლექსები, გა-
მოსი 1923 წლის ივნისი-
დან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნოზლი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მა-
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამ-
სონია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-
ფი ჭუსთოი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გაღვიძება ასაწყობად
24. 11. 87 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბუქლად 24. 12
87 წ. ქალაქის ზომი
60x90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭი ფურცელი 1,5. საღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბაბი 1,9, საქართველოს კმ
ც-ის გამოცემლო ბა-
ლენისი 14. შეეკ. 2757
უკ 04925. ტირაჟი 145.000.
ქურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გახ-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

— ასე აღჭურვილს საახალწლო დღესასწაულზე არ შეგიშვებთ,
უნდა გარდაიქმნათ!